ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №77-ბ

„ 03 " " 06 " 2016წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1 ერთის მხრივ, სსიპ „ეროვნული საშენი მეურნეობა" (შემდგომში - „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის რევაზ ბეჟაშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს "კოლხეთი 2012" (შემდგომში - „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ენდო დანელიას სახით.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული შესყიდვა 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამა „საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილ მცენარეთა სახეობების განახლება") (საქართველოს კანონის მე–3 მუხლის პირველი პუნქტის „ს¹" მეურნეობის ტერიტორიაზე არსებული ნერგის გამოსაყვანი ბაქნის საჩრდილობელი ბადის შეკერვის მომსახურების (შესყიდვის ობიექტის ერთგვაროვნება **98300000** - სხვადასხვა მომსახურება, **98393000** - მკერავის მომსახურებები) შესყიდვაზე და მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება 2605 (ორი ათას ექვსასხუთი) ლარად (შემდგომში – „ხელშეკრულების ღირებულება").

2.2 ხელშეკრულების 2.1. პუნქტში აღნიშნულ ფასში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი და მოსაკრებელი.

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1. 95 (ოთხმოცდათხუთმეტი) ცალი საჩრდილობელი ბადის შეკერვის მომსახურება. 1 (ერთი) საჩრდილობელი ბადის სიგრძე 10 (ათი) მეტრი. სიგანე 3 (სამი) მეტრი. თავში და ბოლოში შემოტეხილი და დალიანდაგებული. გადაბმის ადგილებში დალიანდაგებული მაღალი ხარისხის ძაფით. ყოველ 0,77 (სამოჩდაჩვიდმეტი) სანტიმეტრში სიგანეზე დაკერებული 5 (ხუთი) სმ–იანი ნაჭრი.– 1 (ერთი) საჩრდილობელი ბადის შეკერვის ღირებულება შეადგენს 25 (ოცდახუთი) ლარს. სულ 2375 (ორი ათას სამასსამოცდათხუთმეტი) ლარი.

3.2. 10 (ათი) ცალი საჩრდილობელი ბადის შეკერვის მომსახურება. 1 (ერთი) საჩრდილობელი ბადის სიგრძე 10 (ათი) მეტრი. სიგანე 2,45 მეტრი. თავში და ბოლოში შემოტეხილი და დალიანდაგებული. გადაბმის ადგილებში დალიანდაგებული მაღალი ხარისხის ძაფით. ყოველ 0,77 (სამოჩდაჩვიდმეტი) სანტიმეტრში სიგანეზე დაკერებული 5 (ხუთი) სმ–იანი ნაჭრით.– 1 (ერთი) საჩრდილობელი ბადის შეკერვის ღირებულება შეადგენს 23 (ოცდასამი) ლარს. სულ 230 (ორასოცდაათი) ლარი.

3.3. შემსყიდველი" ხელშეკრულების 3.1. და 3.2 პუნქტებში საჩდილობელი ბადეების შესაკერად საჭირო რაოდენობის მასალას საჩრდილობელი ბადის რულონებს (1 რულონის სიგანე 1.85 სმ. სიგრძე 100 მეტრი) გადასცემს „მიმწოდებელს".

4. მომსახურების გაწევის პირობები

4.1 მომსახურების გაწევა განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში. მიმწოდებლის სამკერვალოდან მისამართი: ქ. თბილისი, ქსნის ქუჩა #12.

4.2. ხელშეკრულების 3.3. პუნქტში მითითებული საჩრდილობელი ბადის ტრასპორტირებას უზრუნველყოფს „შემსყიდველი" საკუთარი ხარჯებით.

4.3. მომსახურების დასრულებისთანავე შეკერილი საჩრდილობელი ბადეების ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს „შემსყიდველი".

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება უნდა გაფორმდეს მიღება–ჩაბარების აქტით, ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად.

5.2. მოსახურების დასრულებისთანავე 5 (ხუთი) სამუშაო დღეში მიმწოდებელი წარუდგენს შემსყიდველს გაწეული მომსახურების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტს და ანგარიშფაქტურას დადგენილი წესის მიხედვით.

6. ანგარიშსწორების პირობები

6.1 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში.

6.2 ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

6.3 ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება იწარმოებს ერთჯერადად, ხელშეკრულების 5.2 პუნქტში მითითებული დოკუმენტების შემსყიდველისათვის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

7.1.1 შემსყიდველს გაუწიოს მომსახურება წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;

7.1.2 მიაწოდოს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი;

7.1.3. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

7.1.4. დროულად განიხილოს „შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

7.2.1 უზრუნველყოს „მიმწოდებლის" დროული და სრული დაფინანსება.

7.2.2. მიაწოდოს „მიმწოდებელს" ხელშეკრულების 3.3. პუნქტში მითითებული საჩრდილობელი ბადის საჭირო რაოდენობის რულონები.

7.2.3 დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

8. მხარეთა უფლება

8.1 მიმწოდებელს უფლება აქვს:

8.1.1 ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.2 შემსყიდველს უფლება აქვს:

8.2.1 აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.

8.2.2 უარი განაცხადოს უხარისხო მომსახურების მიღებაზე.

9. ფორს-მაჟორი

9.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

9.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

10.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია

წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
10.2 წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
10.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს „შეთანხმების" სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადავო საკითხების გადაწყვეტა
11.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
11.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება
თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
13.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების ან შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
13.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
13.3 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა
14.1 ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:
14.1.1 მხარეთა შეთანხმებით;
14.1.2 ხელშეკრულების 13.3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში.
14.1.3 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ინსპექტირების პირობები
15.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს შემსყიდველის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი სპეციალისტი რამაზ ასათიანი.
15.2 წინამდებარე ხელშეკრულების 15.1. პუნქტით გათვალისწინებული პირის ფუნქციებია:
15.2.1 გაწეული მომსახურების ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;
15.2.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება;
15.2.3 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების განხორციელება;

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მიმდინარე წლის 18 აგვისტოს ჩათვლით.

17. განსაკუთრებული პირობები

17.1 ხელშეკრულება 3 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

17.2 ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება ,,მიმწოდებელთან'' ორი ეგზემპლარი _ ,,შემსყიდველთან"

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
სსიპ „ეროვნული საშენი მეურნეობა"	შპს „კოლხეთი 2012"
გარდაბნის მუნიციპალიტეტი	ქ. თბილისი, დოლიძის ქ.#54.
სახელმწიფო ხაზინა	ს.ს. „საქართველო ბანკი"
სახაზინო კოდი TRESGE22	კოდი #BAGAGE22
ა/ა # GE24NB0330100200165022	ა/ა № GE29BG0000000561455300
ს/კ № 226575024	ს/კ № 404970698
_____	_____
რევაზ ბეჟამვილი	ენდო დანელია
,, დირექტორი	დირექტორი